MES 7 22 0001095472

16/09/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 02.09.2022
სხდომის დაწყების დრო: 22:05 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:30სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მადგილე;
3. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
4. **ლევან მოსახლიშვილი** - სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
5. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
6. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **ეკატერინე ნაცვლიშვილი –** შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
10. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
11. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
12. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **დავით ჩოჩიშვილი –** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **გურანდა ჭელიძე –** შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
2	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	ნანა შონია	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	I
3	თამილა არნანია-კეპულაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	გოჩა თუთბერიძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	რექტორი;	II
5	სოფიო ხუნდაძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი ხარისხის	II

			განვითარების მიმართულებით	
6	თათია ხარაბაძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი		II
7	თეონა გრიგოლაშვილი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი	II
8	პანტელეიმონ კლდიაშვილი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	II
9	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV, V, VI, VII, VIII
10	ზურაბ გვიშიანი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი	III, IV, V, VI, VII, VIII
11	ანზორ აბშილავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	III, IV, V, VI, VII, VIII
12	ნუგზარ წერეთელი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი.	III, IV, V, VI, VII, VIII
13	მაია მშვილდაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	III, IV, V, VI, VII, VIII
14	მამუკა მაისურაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV, V, VI, VII, VIII
15	მარინა ჯავახიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	III, IV, V, VI, VII, VIII

16	შალვა კელეპტრიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	III, IV, V, VI, VII, VIII
17	ნაზი კუციავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი	III, IV, V, VI, VII, VIII
18	თეიმურაზ ჭეიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	III, IV, V, VI, VII, VIII
19	დიმიტრი ერისთავი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	III, IV, V, VI, VII, VIII
20	ზვიად კოვზირიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტების და ექსპერტიზის" ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV, V, VI, VII, VIII
21	დავით გორგიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„მშენებლობის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV, V, VI, VII, VIII
22	თეიმურაზ კუნჭულია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	III, IV, V, VI, VII, VIII
23	ნინო რატიანი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობის“ დოქტორანტურის	III, IV, V, VI, VII, VIII

			საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
24	თინათინ დათიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.	III, IV, V, VI, VII, VIII
25	ლეილა გვერწითელი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	III, IV, V, VI, VII, VIII
26	ნათელა ნიჟარაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	III, IV, V, VI, VII, VIII
27	ნათია მიქელთაძე	შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IX
28	გიორგი გაბედავა	შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	უცხოენოვანი განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	IX

აკრედიტაციის ექსპერტები

	სახელი, გვარი	**ინფორმაცია ,ელექტრო ნულისაშუალებითმონა წილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	მანანა ლობჟანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ეკატერინე მიქელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I , II, III
5	ზურაბ ჯანხოთელი	(ჩაერთო „ზუმით“)	I , II
6	რომან მამულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ინგა ბოჭოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	გიორგი ტიტვინიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	დავით ფუტკარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ციცინო თურქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V, VII
11	ვაჟა ტრაპაიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
12	თეიმურაზ ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
13	გივი სანაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IX
14	მანანა მოისწრაფიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IX

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტების და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის გახილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
9. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „გემის მექანიკის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოსთან იშუამდგომლა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს განეხილა შპს მართვისა და კომუნიკაციის

საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის N858757 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

დამტკიცებული დღის წესრიგი

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტების და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის გახილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
9. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „გემის მექანიკის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის N858757 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა:

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4600, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N59,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი მოსაზრებები
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ ხუთივე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, მათ მიერ რეკომენდაცია არ გაცემულა, ისინი მიესალმებიან რეგიონალურ უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამის განხორციელებას. მისი თქმით პროგრამაში ჩართულია კვალიფიციური პერსონალი და პროგრამის სტრუქტურაც კარგად არის აგებული. ექსპერტმა ჩამოთვალა მათ მიერ გაცემული რჩევები:

- სასურველია, გამოცდის სირთულიდან გამომდინარე, პროგრამაზე ჩარიცხვის საშუ-ლება მიეცეს მას, რომელსაც არ აქვს ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის მა-გისტრის ხარისხი და ასევე მიღების ზღვარი დაიწიოს 71%-დან 61%-მდე.
- პროგრამის მდგრადობის უკეთ წარმოსაჩენად, შეიმუშავეთ სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტის ფორმირების პოლიტიკა და პროცედურები, სადაც გაითვალისწინებთ პროგრამის სოციალური უკუგება ინვესტიციებზე (SROI) და შემოსავლებში, გარდა

სწავლის ქირისა გათვალისწინებული იქნება ფაკულტეტის მთლიანი შემოსავლის პროცენტული წილი;

- სასურველია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს უსდ-ს, ისე უცხოეთის უსდ-ს - პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის მიერ, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტენდენციების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას დაეფიქსირებინათ მათი მოსაზრებები

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ პროგრამის განახლების დროს მასში შევიდა საკმაოდ ბევრი ცვლილება. დღეს პროგრამას ჰყავს სტატუს შეჩერებული სტუდენტები და ელოდებიან პროგრამის აკრედიტაციას რომ, როგორც ახალ პროგრამაზე გააგრძელონ სწავლა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი სტატუსშეჩერებული სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ მათ ჰყავთ 3 სტატუსშეჩერებული დოქტორანტი.

საბჭოს თავმჯდომარემ შემდეგი კითხვა დაუსვა ექსპერტებს, მან აღნიშნა, რომ პროგრამის სასწავლო კომპონენტია 55 კრედიტი, პროგრამაში ისწავლება სავალდებულო სახით ისეთი საგნები როგორიცაა თანამედროვე მაკრო და მიკრო ეკონომიკა და სხვა. ის დაინტერესდა რამდენად სწორი იყო სადოქტორო საფეხურზე ეკონომიკის მიმართულების მსგავსი საგნების სწავლა და ექსპერტები ვიზიტის დროს თუ დაინტერესებულან ამასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ მათ ამასთან დაკავშირებით ბევრი იმსჯელეს, გადახედეს საუკეთესო პრაქტიკებს და მისი თქმით, სწორედ მათი რჩევაც აქედან გამომდინარეობდა, რომ ვინაიდან კურიკულუმი საკმაოდ დატვირთულია და მისაღები გამოცდაც საკმაოდ რთულია, სასურველი იქნებოდა პროგრამაზე ჩარიცხვის საშუალება მისცემოდა მათაც რომლებსაც არ აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი და ასევე მიღების ზღვარი დაწეულიყო 71%-დან 61%-მდე. მისი თქმით სასწავლო კომპონენტის დარგობრივი თემატიკით გაძლიერება უნივერსიტეტის გემოვნების საკითხია და პირიქით, ექსპერტები ამას მიესალმებიან. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მათ გადაამოწმეს მაგისტრატურის საფეხურის საგნები და დაადგინეს რომ სადოქტორო პროგრამაზე მისაღები თემატიკა დაფარულია სამაგისტრო საგნებით, მოცემულ პროგრამაზე თუ რამე გამონაკლისი არ არსებობს, პროგრამაზე იღებენ მათ მაგისტრანტ დამთავრებულებს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი კითხვას სწორედ ამაში მდგომარეობს, თუ მისაღებ გამოცდაზე ამ დონეზე ითხოვენ ცოდნას, კიდევ სასწავლო კომპონენტში რა საჭიროა ამის სწავლება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტში აღნიშნული თემები ისწავლება საკმაოდ ღრმად.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე კითხვა დაუსვა დაწესებულებას რამდენად არის უნივერსიტეტის მხრიდან მზაობა სადოქტორო კვლევების დაფინანსებისა და ამასთან დაკავშირებით არსებობს თუ არა რაიმე დოკუმენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიუჯეტი არის ცენტრალიზებული, თუმცა ფაკულტეტი არის საკმაოდ მაღალბიუჯეტიანი და ფაკულტეტს ყოველთვის აქვს იმის შესაძლებლობა რომ დააფინანსოს კვლევები. ხოლო დაფინანსების კონკრეტული პოლიტიკა დამუშავების პროცესშია და ოქტომბრის ბოლოს უკვე დამტკიცებული იქნება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

საბჭოს წევრი დაინტერესდა დღეის მდგომარეობით რამდენი პროცენტი აქვს დაწესებულებას დახარჯული სამეცნიერო კვლევებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2018 წლიდან სადოქტორო პროგრამები მათთან შეჩერებულია, თუმცა მიუხედავად ამისა ფაკულტეტი აცხადებს შიდა საგრანტო

კონკურსებს და ყოველ სემესტრულად 30 000 ლარი არის გამოყოფილი ამ შიდა საგრანტო კონკურსებზე და აქ მონაწილეობენ, როგროც მაგისტრანტები ასევე ბაკალავრიატის სტუდენტები. და ეს ყველაფერი ხდება კონკრეტულად ფაკულტეტის ფინანსური რესურსებიდან და არა უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან.

საბჭოს წევრი თამარ სირაძე დაინტერესდა დოქტორანტი როგორ ირჩევს საკვლევ თემას, სადოქტორო პროგრამაზე მიღების დროს თუ შემდეგ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, როდესაც დოქტორანტი მოდის მან უკვე იცის თუ რა მიმართულებით იმუშავებს, ხოლო უკვე დოქტორანტურაში ჩაბარების შემდეგ ამ მიმართულების დაზუსტება ხდება, მაგრამ თვითონ პრობლემატიკა რა მიმართულებით უნდა იმუშაოს დოქტორანტმა იცის წინასწარ.

საბჭოს წევრი თეა მჭედლური დაინტერესდა რა წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს დოქტორანტი დაცვამდე და დაწესებულებას აქვს თუ არა დოქტორანტებისთვის განსაზღვრული სამეცნიერო ჟურნალების ჩამონათვალი სადაც სავალდებულო იქნება სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დოქტორანტმა პირველ რიგში უნდა გაიაროს სასწავლო კომპონენტის 55 კრედიტი. ასევე მათ განსაზღვრული აქვთ, რომ დაცვამდე მათ სტატია გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეთ უცხოეთის მაღალრეიტინგულ ჟურნალში ან აგრეთვე ერთი ადგილობრივ ჟურნალში.
საბჭოს წევრი თეა მჭედლური ასევე დაინტერესდა რამდენი შემფასებელი ჰყავს სადოქტორო ნაშრომს და თუ ერთ ერთის შეფასება უარყოფითია ამ შემთხვევაში რა ხდება
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუ ორი შეფასებიდან ერთი უარყოფითია, დამატებით ინიშნება მესამე შემფასებელი, თუ ისიც უარყოფით შეფასებას დაწერს დოქტორანტს ეძლევა ვადა თემა გადაამუშაოს.
საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა, რომელ ფაილში აქვს დაწესებულებას წარმოდგენილი ინ სამეცნიერო ჟურნალების ჩამონათვალი, სადაც დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს ნაშრომი.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ მსგავსი დოკუმენტი ჯერ არ აქვთ, ეს უნდა დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს მიერ და დაამტკიცებენ როდესაც პროგრამას მიეცემა აკრედიტაცია.
საბჭოს წევრი ეკა ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ერთ ერთ სასწავლო კურსში - დარგის მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები, წერია, რომ აღნიშნული კურსი წაკითხულ იქნება პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორების მიერ, ის დაინტერესდა ექსპერტები თუ გაესაუბრნენ ამ პროფესორს და ზოგადად პროცედურა როგორ იქნება განსაზღვრული.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მათ აქვთ ხელშეკრულება დადებული ერთ ერთ უცხოელ პროფესორთან რომელთანაც თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვთ. ასევე მათ ჰყავთ ისეთი პარტნიორები, რომლებიც 2018 წელს იყვნენ მოწვეულები უნივერსიტეტში და რომლებმაც უკვე ჩაატარეს ტრენინგები არა მხოლოდ მაშინდელი დოქტორატებისათვის არამედ აკადემიური პერსონალისთვის. სწორედ ამ მიმართულებით ანუ ფაქტიურად თუ დავუშვათ ჩვენს დოქტორანტებს ექნებათ სურვილი, რომ ეს კურის აითვისოს არა საქართველოში არამედ პარტნიორ უნივერსიტეტში მათ აქვთ ამის შესაძლებლობა. თუ არა, თვითონ პარტნიორი უნივერსიტეტის ლექტორები ჩაუტარებენ ლექციებს საქართველოში.

საბჭოს წევრი ნათია ზედგინიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია 7 სტუდენტზე, მართალია ეს პროგნოზია, მაგრამ მას პროგრამის მდგრადობასთან დაკავშირებით

აინტერესებს დაწესებულების პოზიცია. ასევე დოქტორანტებისთვის სავალდებულოა რომ ორ საერთაშორისო ინდექსირებად ჟურნალში გამოაქვეყნოს ნაშრომი რამდენად იქნება ცენტრალური ბიუჯეტი ამისთვის საკმარისი. ასევე ის დაინტერესდა დაწესებულების მოსაზრებით სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტში აკადემიური წერის სწავლების ლოგიკასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით აქვს ყველაფერი იმისთვის რომ პროგრამა სრულყოფილად განახორციელოს, ხოლო რაც შეეხება 7 სტუდენტზე გათვლას, რომლებმაც 2250 ლარი უნდა გადაიხადონ ერთი შეხედვით თითქოს ვერ უზრუნველყოფს მდგრადობას სწორედ ამიტომ გასცეს მათ რჩევა, რომ პროგრამის მდგრადობის უკეთ წარმოსაჩენად, დაწესებულებამ შეიმუშაოს სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტის ფორმირების პოლიტიკა და პროცედურები, სადაც გაითვალისწინებენ პროგრამის სოციალური უკუგებას ინვესტიციებზე (SROI) და შემოსავლებში, გარდა სწავლის ქირისა გათვალისწინებული იქნება ფაკულტეტის მთლიანი შემოსავლის პროცენტული წილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აკადემიურ წერასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ ამასთან დაკავშირებით ჰქონდათ მსჯელობა და საბოლოოდ გადაწყვიტეს აკადემიური წერია სასწავლო კომპონენტში განესაზღვრათ, მისი თქმით მეცნიერებაში მუდმივად მიმდინარეობს გარკვეული ცვლილებები და ეს ცვლილებები ხშირ შემთხვევაში აკადემიური წერის დისციპლინაშიც შეიძლება აისახოს. ასევე მათ ნახეს სხვა უნივერსიტეტებშიც მსგავსი პროგრამა და უმეტეს მათგანში აღნიშნული სასწავლო კურსი გათვალისწინებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა სადოქტორო პროგრამაში დაშვების წინაპირობებში მითითებულ რეფერატთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მართალია მაგისტრს უკვე დაწერილი აქვს სამაგისტრო ნაშრომი და გარკვეულწილად გამომუშავებული აქვს ნაშრომის წერის უნარები, თუმცა როგორც მოგეხსენებათ სადოქტორო ნაშრომის წერა კიდევ სხვა ძალისხმევას და უნარებს მოითხოვს და წერის კულტურის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია.

საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი ასევე დაინტერესდა რატომ არ ახორციელებს დაწესებულება აღნიშნულ პროგრამას სხვა პარტნიორ დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი პროგრამის სახით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ამაზეც იფიქრეს, მაგრამ საბოლოოდ ჩათვალეს, რომ მათ საკმაოდ ფართო პარტნიორები ჰყავთ უცხოეთშიც და აქედან გამოდინარე არ გვინდოდა შეგვეზღუდა ჩვენი დოქტორანტები რომელიმე კონკრეტული უნივერსიტეტით და მიგვეცა შესაძლებლობა რომ მათ თავად აერჩიათ ის უნივერსიტეტი, რომელიც მათ კვლევასთან უფრო მისადაგებული იქნებოდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:30
დასრულების დრო: 15:50

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე - 2 სტანდარტი, ნაცვლად, „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სადოქტორო სტანდარტების შესაბამისად;
- საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის გათვალისწინებით გადაიხედოს სასწავლო კომპონენტში აკადემიური წერის სავალდებულობის საკითხი;
- რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტში განისაზღვროს სამეცნიერო კვლევის კომპონენტის თანხა;
- რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომის დაცვის წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus, Web of Science) ინდექსირებულ, იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება.

რჩევები:

• სასურველია, გამოცდის სირთულიდან გამომდინარე, პროგრამაზე ჩარიცხვის საშუალება მიეცეს ასევე მათ, რომელსაც არ აქვს ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი და ასევე მიღების ზღვარი დაიწიოს 71% - დან 61% - მდე;
• პროგრამის მდგრადობის უკეთ წარმოსაჩენად, შემუშავდეს სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტის ფორმირების პოლიტიკა და პროცედურები, სადაც გათვალისწინებული იქნება პროგრამის სოციალური უკუგება ინვესტიციებზე (SROI) და შემოსავლებში, გარდა სწავლის ქირისა გათვალისწინებულ იქნას ფაკულტეტის მთლიანი შემოსავლის პროცენტული წილი.

• სასურველია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ისე უცხოეთის პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის მიერ, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტენდენციების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

მეორე საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა:

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბუღალტრო აღრიცხვა და აუტიდი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 11 აგვისტოს N679096 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საბუღალტრო აღრიცხვა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0411 საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ქუთაისი, 4600, წერეთლის ქ. N13
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ეკატერინე ნაცვლიშვილმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი მოსაზრებები

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა, აკადემიური პესრსონალის მიერ შემუშავდეს და სილაბუსებში აისახოს ქართულენოვანი სასწავლო მასალები, ასევე ძირითად ლიტერატურაში მითითებულ იქნას ოპტიმალური რაოდენობის სასწავლო მასალები.
- „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსის „სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის“ ჩანაწერში შევიდეს ცვლილება და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად განსაზღვრულ იქნას „ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელად შეიძლება დაშვებულ იქნას განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი“. აქვე დაზუსტდეს კრიტერიუმები და კომპონენტები, რომელის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება „განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების პირის“ იდენტიფიცირება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას დაეფიქსირებინათ მათი მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებს მადლობა გადაუხადა ღირებული რეკომენდაციებისა და რჩევებისთვის.
პროგრამის ხელმძღვანელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ლიტერატურასთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ მას ვერ წარმოუდგენია ისეთი პროგრამის ხელმღვანელი, რომელიც არ მიესალმება ლიტერატურის განახლებაზე მოწოდებას. მან აღნიშნა, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ ამაზე და ცდილობენ რომ მუდმივად თანამედროვე ლიტერატურა ჩეარჩიონ ამ კურსისათვის. ასევე, პროგრამაზე მიღების დროს წინაპირობებში მათ აქვთ, რომ ინგლისური ენა უნდა იცოდეს აპლიკანტმა და ეს იძლევა საშულებას, რომ სტუდენტებს შევთავაზოთ საჭიროების შემთხვევაში უცხოენოვანი ლიტერატურაც.
მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ შემოთავაზებული ვარიანტი დაწესებულების აზრით არის ოპტიმალური ამ მიმართულებით ისინი მზად არიან შესაბამისი ცვლილებები განახორციელონ. როგროც შესაბამის სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში ისე სამაგისტრო ნაშრომის წესშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები არსებობის შემთხვევაში

საბჭოს წევრი ირინა გველესიანი დაინტერესდა დაწესებულების გეგმებით კერძო სექტორის დამსაქმებლებთან ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ დამსაქმებლებთან აქვთ ძალიან მჭიდრო კონტაქტი, ისინი ჩართულები არიან პროგრამის კომიტეტში და მათთან მუდმივად ატარებენ გამოკითხვებს და შემდეგ ხდება მათი რჩევების და რეკომენდაციების განხილვა. დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ძირითადად მოიცავს სტაჟირებას და

პრაქტიკას, მემორანდუმებში ასევე მითითებულია თითოეული დამსაქმებელი რამდენი სტუდენტის მისაღებად არის მზად, იქნება ეს სტაჟირება თუ პრაქტიკა.

საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილმა სთხოვა ექსპერტებს, მათ უფრო დეტალურად განემარტათ რჩევა, რომელშიც ყურადღებას ამახვილებენ მაგისტრანტების ხელმძღვანელების მხრიდან მეტი ყურადღების მიპყრობას სტუდენტებისთვის ტექსტის დაკაბადონების წესების, სქოლიოებისა და წყაროების აკადემიური ორგანიზების ნორმების გაცნობასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მაგისტრანტების ხელმძღვანელები არიან საკმაოდ კვალიფიციურები, სამაგისტრო ნაშრომებიც მოწმდება პლაგიატზე, თუმცა მათ მაინც მიაჩნიათ, რომ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება კარგი იქნებოდა, მითუმეტეს რომ ცოტა სტუდენტი ჰყავთ და ეს უფრო მარტივია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ამ საკითხთან დაკავშირებით დაამატა, რომ მათ აქვთ სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ახალი წესი, რომელიც მას შემდეგ დაამტკიცეს რაც ექსპერტებმა შეაფასეს პროგრამა.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ განახლებული პროგრამაში მათ დაამატეს ისეთი საგნები, რომლებიც სტუდენტებს დაეხმარება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:00
დასრულების დრო: 17:20

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა, აკადემიური პესრსონალის მიერ შემუშავდეს და სილაბუსებში აისახოს ქართულენოვანი სასწავლო მასალები, ასევე ძირითად ლიტერატურაში მითითებულ იქნას ოპტიმალური რაოდენობის სასწავლო მასალები;
- „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსის „სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის“ ჩანაწერში შევიდეს ცვლილება და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად განსაზღვრულ იქნას „ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პირი, რო-მელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო ნაშ-რომის თანახელმძღვანელად შეიძლება დაშვებულ იქნას განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი“. აქვე დაზუსტდეს კრიტერიუმები და კომპონენტები, რომელის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება „განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების პირის“ იდენტიფიცირება;

რჩევები:

- სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს „პროფესიული პრაქტიკის“ კომპონენტის სტატუსი. თუ პროფესიული პრაქტიკა იქნება არჩევითი სასწავლო კომპონენტი, მაშინ სასწავლო გეგმით იმავე (მეოთხე) სემესტრში აუცილებლად უნდა იყოს იგივე მოცულობის (რვა კრედიტი) სხვა სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობა. ასევე აუცილებელია სახელმძღვანელო დოკუმენტებში ან საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურად გაიწეროს „პროფესიული პრაქტიკის“ კომპონენტის გავლისგან სტუდენტის გათავისუფლების პირობები და პროცედურები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების შესაბამისად;
- სასურველია ინგლისურ ენაში B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტად კანდიდატის მიერ საქართველოში ან საზღვარგარეთ ინგლისურენოვანი „საბაკალავრო პროგრამის“ დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ასევე ჩაითვალოს ინგლისურენოვანი „სამაგისტრო პროგრამის“ დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტიც (საქართველოში ან საზღვარგარეთ);
- სასურველია, სასწავლო გეგმაში ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებს დაემატოს „ბიზნეს კომუნიკაციების და მოლაპარაკებების ხელოვნების“ ან სხვა მსგავსი შინაარსის სასწავლო კურსი, რომელიც გააძლიერებს კურსდამთავრებულის კომპეტენციებს კომუნიკაციების მიმართულებით;
- სასურველია, „სტრატეგიული მარკეტინგის“ სასწავლო კურსი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადმოტანილ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსებში;
- სასურველია დაწესებულებამ მეტი ძალისხმევა მიმართოს კერძო სექტორის დამსაქმებლებთან საპარტნიორო ხელშეკრულებების გაფორმებისკენ;
- სასურველია დაწესებულებამ მეტი ძალისხმევა მიმართოს ექსტრაკურიკულარული აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის გასაზრდელად და ინტერესის გასაღრმავებლად;

- სასურველია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუდენტთა დასაქმების მიზნით კვალიფიკაციის შესაბამისად, კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით;
- სასურველია მაგისტრანტების ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სტუ-დენტებისთვის ტექსტის დაკაბადონების წესების, სქოლიოებისა და წყაროების აკადემიური ორგანიზების ნორმების გაცნობას;
- მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ისე უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის მიერ, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტენდენციების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტების და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა:

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები და ექსპერტიზა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი მასალების საინჟინრო ტექნოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0722 მასალები (ხე, ქაღალდი, პლასტმასი, მინა)
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, ქ. თბილისი, მ.კოსტავას 69
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი მოსაზრებები
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო რეკომენდაციები:

- პროგრამის განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, მნიშვნელოვანია პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და შინაარსის შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ექსპერტის თმქით აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველს წარმოადგენდა ის რომ პროგრამის მიზნებში განსაზღვრულია ძირითადად ცოდნის და უნარების კომპეტენციების მიცემა მასალების საინჟინრო ტექნოლოგიის მიმართულებით, ხოლო სწავლის შედეგები და შესაბამისად შინაარსი ძირითადად ორიენტირებულია ბიონანოკერამიკულ და პოლიმერულ კომპოზიტებზე.

- სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და აისახოს შინაარსით გათვალისწინებული ყველა კომპეტენცია, მათ შორის უზრუნველყოფილი იქნას ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით „0722“ დეტალურ სფეროსთან შესაბამისობა

ექსპერტის თქმით პროგრამაში არ არის გაწერილი სწავლის შედეგები ავტონომიურობა პასუხისმგებლობის კომპეტენციებით მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეცნიერების ბაკალავრი მასალების საინჟინრო ტექნოლოგიაში, იძლევა შესაძლებლობას პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას ისეთი კომპონენტები რომლებიც სტუდენტს გაიყვანს ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კომპეტენციებზე.

- დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, გასწორდეს შეუსაბამობები სწავლის შედეგების რუკასა და Performanc Indicators (PI) განსაზღვრისას.

ექსპერტის თქმით აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი გახლდათ ის, რომ სწავლის შედგების რუკის მიხედვით გაწერილია, თითოული სასწავლო კურსის მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან. შესაბამისი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ არის სწავლის შედეგები, რომელთათვისაც არ არის იდენტიფიცირებული სასწავლო კურსები, რომლებიც იქნებიან შესავალი და განმავითარებელი ამ სწავლის შედეგისთვის და პირდაპირ ხდება ფორმირება რამდენიმე სასწავლო კურსით. მაგალითად, მეოთხე სწავლის შედეგი: „განიხილავს ბიონანოსამედიცინო და პოლიმერული კომპოზიტების წარმოებისას მიმდინარე ძირითად

პროცესებს“. ამ შემთხვევაში მითითებულია, რომ მის ფორმირებას უზრუნველყოფს 5 სასწავლო კურსი. ასევეა, მე-7 სწავლის შედეგის შემთხვევაში: „აანალიზებს მასალების დამუშავების გავლენას საკონსტრუქციო მასალების საექსპლუატაციო მახასიათებლებზე“, აღნიშნულ სწავლის შედეგს ასევე არ აქვს მითითებული შესავალი და განმავითარებელი სასწავლო კურსები, მხოლოდ მაფორმირებელი 5 სასწავლო კურსია მითითებული. სწავლის შედეგების რუკის მიხედვით, არის შემთხვევა, როდესაც, მაგალითად მე-5 სწავლის შედეგზე, მე-5 სემესტრის სასწავლო კურსები მე-3 დონით გადიან, ხოლო მე-6 სემესტრის სასწავლო კურსები იმავე სწავლის 11 შედეგზე მე-2 დონით. ასევე, მითითებულია, რომ „გაცნობითი პრაქტიკა“, რომელიც გათვალისწინებულია მე-6 სემეტრში არის 6 სწავლის შედეგის მაფორმირებელი კურსი.

ექსპერტის თქმით, შემდეგი რეკომენდაციები ეხება პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის გადახედვას:

- გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, მათ შორის პოლიმერულ კომპოზიტებზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებთან მიმართებით, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევა;
- პროგრამის სტრუქტურაში გასწორდეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
- გადაიხედოს „ფიზიკური ქიმიის“ სასწავლო კურსის მოცულობა, სწავლის შედეგების მიღწევასთან მიმართებით და დაემატოს ასევე „კოლოიდური ქიმიის“ ძირითადი საკითხები;
- პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა სწავლის შედეგების მისაღწევად განიხილოს სასწავლო კურსებში სემინარების და პრაქტიკული მეცადინეობების საათების დამატების საკითხი;
- გადაიხედოს ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის გამოყოფილი საათების განაწილება და განისაზღვროს თითოული სალექციო და ლაბორატორიულ მეცადინეობის შესაბამისი საათები;
- გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები იმ მიზნით, რომ გასწორდეს საკითხების გადაფარვები სხვადასხვა სასწავლო კურსებში;
- გადაიხედოს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა მისი აქტუალობის და გამოყენების შესაძლებლობის თვალსაზრისით;
- მკაფიოდ გამოიკვეთოს შეფასებების კომპონენტების სპეციფიკა და განისაზღვროს მათი შეფასების როგორც კრიტერიუმები, ისე შეფასების ქულები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით მათ მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

- აკადემიური პერსონალისადმი წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დაემატოს ბოლო 5 წლის განმავლობაში საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ასახული პუბლიკაციები (Scopus, Web of Science);
- გადაიხედოს აკადემიური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებულ იქნება თანამედროვე გამოწვევები და შესაბამისად შეფასდება, მათ შორის IF მქონდე ჟურნალებში პუბლიკაციები;
- გაუმჯობესდეს ლაბორატორიებში სამუშაო სივრცეები (სამუშაო მაგიდების, ამწოვი კარადების დამატება და ა.შ.), სტუდენტთა რეალური რაოდენობის გათვალისწინებით;
- ლაბორატორიებში მომუშავე პერსონალმა უზრუნველყოს უსაფრთხოების ზომების მაქსიმალური დაცვა, მათ შორის ქიმიური რეაქტივების სათანადო წესით შენახვა და ეტიკეტირება;

- პროგრამის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია ისეთი ხელსაწყოების შეძენა, როგორიცაა ინფრაწითელი სპექტრომეტრი, ელექტრონული ციფრული სასწორები, რენტგენოგრაფიული ანალიზის ხელსაწყო;
- გაიწეროს პროგრამის ბიუჯეტი, რეალურ შემოსავალზე და საჭიროებებზე გათვლით და განისაზღვროს შესაბამისი დამატებითი რესურსები

მეხუთე სტანდარტთან მიმართებით:

- გასწორდეს პროგრამის კურიკულუმში და სილაბუსებში არსებული ტექნიკური ხარვეზები/შეუსაბამობები და ამ დოკუმენტებში არსებული ინფორმაცია მოვიდეს ურთიერთშესაბამისობაში;
- დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევისა და ხარვეზების/შეუსაბამობების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ: 1) განხორციელდეს პროგრამის შეფასება არამხოლოდ შუალედური, არამედ ობიექტური და კომპლექსური დასკვნითი შეფასების გზით, რომელმაც უნდა მოიცვას „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის 6 დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესით“ გათვალისწინებული ყველა კრიტერიუმი (პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი, პროგრამის მდგრადობის შეფასება, სხვ.), 2) გაძლიერდეს კონტროლი პროგრამის განმახორციელების მხრიდან მიღებულ რეკომენდაციების გათვალისწინებაზე;
- შემუშავდეს წარმოდგენილი პროგრამის რეალურ ანალოგ პროგრამებთან შედარების მექანიზმი იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების (მათ შორის სტუ-ს პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგ პროგრამებთან დადარება და მიღებული შედეგების შემდგომი გამოყენება პროგრამის განვითარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა მე - 4 და მე - 5 სტანდარტებთან გაცემულ რეკომენდაციებზე, მისი თქმით უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფასებას და კმაყოფილების კვლევას. კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებით, სადაც აუცილებელ პირობადაა „ყოველ ორ წელიწადში, საერთაშორისო, მაღალ რეიტინგულ რეფერირებად ჟურნალში/კრებულში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება ასევე ყოველ ორ წელიწადში, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში (კონფერენცია, სიმპოზიუმი, ვორკშოპი, სამეცნიერო სემინარი, კონგრესი) მონაწილეობა მომხსენებლის სტატუსით“. მისი თქმით უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს სამეცნიერო საქმიანობის შეფასების წესი. ლაბორატორიებთან მიმართებით არსებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ აღნიშნული მათთვის გამოწვევაა და იდენტიფიცირებული აქვთ თვითშეფასების დოკუმენტში და ფაკულტეტის ყოველდღიური ზრუნვის საგანს წარმოადგენს. მისი თქმით, პროგრამას მოემსახურება 12 სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია. ლაბორატორიული მეცადინეობების დროს, სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 15 სტუდენტით. ზოგიერთ შემთვევაში კი 10 სტუდენტით. შესაბამისად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა წყვილში იმუშაონ ლაბორატორიული სამუშაოს შესასრულებლად. ამავე დროს ფაკულტეტი ზრუნავს ახალი ლაბორატორიების მოწყობაზე, რისი დასტურიც არის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. უნდა აღინიშნოს ფაკულტეტზე ამწოვი კარადების საკმაო რაოდენობაა, მაგრამ ყველა მათგანი ჯერ არის ახლადგარემონტებულ ლაბორატორიებში განთავსებული. სარემონტო სამუშაოების შემდეგ ამწოვი კარადების და სამუშაო კუთხეების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. ასევე ზრუნვის საგანს წარმოადგენს უსაფრთხოების წესების მაქიმალური დაცვა. ფაკულტეტზე მოქმდებს

ლაბორატორიის უფროსის საშტატო განაკვეთი, რომელიცასევე ზრუნავს ლაბორატორიებში უსაფრთხოების წესების დაცვაზე. ლაბორატორიული სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენება ქარხნული რეაქტივები სათანადო ეტიკეტირებიით. გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება შტანგლასზე შიგთავსის დასახელება მიწერილი იყოს შესაბამისი კალმით. ასევე ყურადღება ექცევა უსფრთხო ხელსაწყოების გამოყენებას და შეუსაბამო ხელსაწყოების ამოღებაზე, მაგრამ სამწუხაროდ გამონაკლისებსაც აქვს ადგილი. მისი თქმით პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება მუდმივი პროცესია და არასდროს არ წყდება. პროგრამას გააჩნია სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამას გარდა პროგრამა ისარგებლებს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზით. მეტერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება ფაკულტეტის სამწლიანი გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია. დასკვნის პროექტში აღნიშნული ინფრაწითელი სპექტროფოტომეტრის შეძენა დაგეგმილი იყო მიმდინარე წელს, თუმცა ხელისშემშლელი პირობაა ფასების არასტაბილურობა. პროგრამას აქვს საშუალება ისარგებლოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული რენტგენოგრაფიული ანალიზის ხელსაწყოთი. პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამა არ ამოქმედებულა, შესაბამისად არ ჰყავს სტუდენტები და არ აქვს რეალური შემოსავლები. წარდგენის დოკუმენტებში ლაპარაკია საორიენტაციო შემოსავლებზე. ცხადია ამ ეტაპზე ცნობილია პროგრამის საჭიროებები და პროგრამის აკრედიტაციის და ამოქმედების შემდეგ შესაძლებელი იქნება პროგრამის რეალურ შემოსავალზე საუბარი. დაწესებულების წარმომადგენელმა მე - 5 სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებზეც გაამახვილა ყურადღება, მისი თქმით პროგრამაში ნამდვილად ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზები მიუხედავად არაერთგზის მონიტორინგისა, თუმცა ეს მათ უფრო რჩევად მიაჩნიათ და არა რეკომენდაციად.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ითხოვა მცირე განმარტების გაკეთება, მისი თქმით 5.1 სტანდარტთან არსებული რეკომენდაცია ტექნიკურ ხარვეზებთან დაკავშირებით არის მარტივად გამოსწორებადი.

დაწესებულების წარმომადგენელმა გააგრძელა რეკომენდაციებთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირება, ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართული 8 პიროვნება არის ევროპის კერამიკოსთა საზოგადოების წევრი, რომელშიც ასევე 28 ქვეყნის წარმომადგენელია გაერთიანებული. ასევე ისინი რეგულარულად გამოსცემენ ინგლისურენოვან წიგნებს. მათ მჭიდრო კავშირი აქვთ გერმანიასთან, როგორც მან აღნიშნა თვითონ დაადის პროგრამის ფარგლებში 7 ჯერ მოიგო გრანტი და აქვს გერმანიის ბირთვული კვლევის ცენტში მუშაობის გამოცდილება, მისი კონტაქტებიც საკმაოდ ძლიერია. როგორც მან აღნიშნა გერმანიაში არსებობს კერამიკის 32 კათედრა და არცერთ კათედრას ასეთი უნიკალური დასახელების პროგრამა არ აქვს. როგორც მან აღნიშნა, ისინი ასევე მუშაობენ ნანო ტექნოლოგიაზე, მათ თვითონ ააწყვეს აპარატურა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ყურადღება გაამახვილა დარჩენილ რეკომენდაციებზე, პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე მან აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამაში პოლიმერულ კომპოზიტებზე ორიენტირებული 4 სასწავლო კურსია, საერთო მოცულობით 18 კრედიტი, თუ ამას დავუმატებთ „ორგანულ ქიმიას“ -6 კრ. მივიღებთ 24 კრედიტს, რაც სრულიად საკმარისია პროგრამის სწავლის შედეგების შესასრულებლად ამ კუთხით. ის, რომ პროგრამას გააჩნია თავისი ინდივიდუალურობა და არათანაბარი განაწილება მათი აზრით სრულიად დასაშვებია არარეგულირებადი პროგრამებისთვის. სხვა მხრივ, პროგრამის მინიტორინგის ციკლის თანახმად მოხდება სწავლის შედეგების შემოწმება და შემდგომი რეაგირება.

სწავლის შედეგებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და ეროვნული კფვალიფიკაციის ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერთან. წარმოდგენილი სწავლის შედეგები კოლექტიური შრომის ნაყოფია და

რამოდენიმე მონიტორინგი აქვს გავლილი ამავდროულად, პროგრამის განხორციელების პროცესში, ახლადგამოვლენილი გარემოებების გამო, შესაძლებელია მოხდეს სწავლის შედეგების გადახედვა. აღნიშნული პროცედურა პროგრამის განვითარების ნაწილია და გაწერილი რეკომენდაციებითა და წესებით ხორციელდება.

„ფიზიკური ქიმიის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ნაწილობრივ ეთანხმებიან, ერთი შეხედვით პროგრამაში წარმოდგენილი „ფიზიკური ქიმიის“ კურსი არ არის იმ მოცულობის, რომ მთლიანად გადაფაროს კომპოზიციური მასალებში მიმდინარე რთული ფიზიკურ-ქიმიური პროცესები. ჩვენ, განხილვის პროცესში გვქონდა ამ საკითხზე მსჯელობა. პროგრამაში არის სასწავლო კურსი „მაღალტემპერატურული მოწინავე მასალების ქიმია“, რომელიც ფაქტიურად კომპოზიციური მასალების ფიზიკურ ქიმიის განშტოებს წარმოადგენს და განიხილავს იმ საკითხებს (გარკვეული სპეციფიურობის დაცვით), რომელიც კომპოციციური მასალების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს შეეხება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების დასმისკენ

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ის დაინტერესდა ავტონომიურობა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, კერძოდ საბაკალავრო საფეხურზე როგორ უნდა დადასტურდეს აღნიშნული კომპეტენცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათი არგუმენტები გამომდინარეობდა რამდენიმე გარემოებიდან. მაგალითად, ზოგიერთ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობა ავტონომიურობის კომპეტენცია ასახულია, მათ შორის დასახელებული იყო საბაკალავრო ნაშრომი სადაც სტუდენტი დავალებას ასრულებს ინდივიდუალურად და დამოუკიდებლად. ასევე მთავარი არგუმენტი ის არის რომ, თვითონ მისანიჭებელი კვალიფიკაციაა მეცნიერების ბაკალავრი. პასუხისმგებლობა ავტონომიურობის შეფასების საკითხები ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ არა მხოლოდ საბაკალავრო დონეზე. შესაბამისად არსებობს შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები რომლითაც ამ კომპეტენციის შეფასება არის შესაძლებელი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:20
დასრულების დრო: 18:40

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტების და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2025 წლის 31 დეკემბერამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-5 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-9 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტების და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2025 წლის 31 დეკემბერამდე.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი

რეკომენდაციები:

- პროგრამის განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, მნიშვნელოვანია პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და შინაარსის შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და აისახოს შინაარსით გათვალისწინებული ყველა კომპეტენცია, მათ შორის უზრუნველყოფილი იქნას ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით „0722“ დეტალურ სფეროსთან შესაბამისობა;
- დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, გასწორდეს შეუსაბამობები სწავლის შედეგების რუკასა და Performanc Indicators (PI) განსაზღვრისას;
- გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, მათ შორის პოლიმერულ კომპოზიტებზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებთან მიმართებით, იმ მიზნით, რომ უზრუნ-ველყოფილი იყოს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევა;
- პროგრამის სტრუქტურაში გასწორდეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
- გადაიხედოს „ფიზიკური ქიმიის“ სასწავლო კურსის მოცულობა, სწავლის შედეგების მიღწევასთან მიმართებით და დაემატოს ასევე „კოლოიდური ქიმიის“ ძირითადი საკითხები.
- პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა სწავლის შედეგების მისაღწევად განიხილოს სასწავლო კურსებში სემინარების და პრაქტიკული მეცადინეობების საათების დამატების საკითხი;
- გადაიხედოს ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის გამოყოფილი საათების განაწილება და განისაზღვროს თითოეული სალექციო და ლაბორატორიულ მეცადინეობის შესაბამისი საათები;
- გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები იმ მიზნით, რომ გასწორდეს საკითხების გადაფარვები სხვადასხვა სასწავლო კურსებში;
- გადაიხედოს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა მისი აქტუალობის და გამოყენების შესაძლებლობის თვალსაზრისით;
- მკაფიოდ გამოიკვეთოს შეფასებების კომპონენტების სპეციფიკა და განისაზღვროს მათი შეფასების როგორც კრიტერიუმები, ისე შეფასების ქულები;
- აკადემიური პერსონალისადმი წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დაემატოს ბოლო 5 წლის განმავლობაში საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ასახული პუბლიკაციები (Scopus, Web of Science);

- გადაიხედოს აკადემიური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებულ იქნება თანამედროვე გამოწვევები და შესაბამისად შეფასდება, მათ შორის IF მქონე ჟურნალებში პუბლიკაციები;
- გაუმჯობესდეს ლაბორატორიებში სამუშაო სივრცეები (სამუშაო მაგიდების, ამწოვი კარადების დამატება და ა.შ.), სტუდენტთა რეალური რაოდენობის გათვალისწინებით.
- ლაბორატორიებში მომუშავე პერსონალმა უზრუნველყოს უსაფრთხოების ზომების მაქსიმალური დაცვა, მათ შორის ქიმიური რეაქტივების სათანადო წესით შენახვა და ეტიკეტირება;
- პროგრამის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია ისეთი ხელსაწყოების შეძენა, როგორიცაა ინფრაწითელი სპექტრომეტრი, ელექტრონული ციფრული სასწორები, რენტგენოგრაფიული ანალიზის ხელსაწყო;
- გაიწეროს პროგრამის ბიუჯეტი, რეალურ შემოსავალზე და საჭიროებებზე გათვლით და განისაზღვროს შესაბამისი დამატებითი რესურსები;
- გასწორდეს პროგრამის კურიკულუმში და სილაბუსებში არსებული ტექნიკური ხარვეზები/შეუსაბამობები და ამ დოკუმენტებში არსებული ინფორმაცია მოვიდეს ურთიერთშესაბამისობაში;
- დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევისა და ხარვეზების, შეუსაბამობების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ:
  1) განხორციელდეს პროგრამის შეფასება არამხოლოდ შუალედური, არამედ ობიექტური და კომპლექსური დასკვნითი შეფასების გზით, რომელმაც უნდა მოიცვას „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესით“ გათვალისწინებული ყველა კრიტერიუმი (პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი, პროგრამის მდგრადობის შეფასება, სხვ.),
  2) გაძლიერდეს კონტროლი პროგრამის განმახორციელებლების მხრიდან მიღებულ რეკომენდაციების გათვალისწინებაზე.
- შემუშავდეს წარმოდგენილი პროგრამის რეალურ ანალოგ პროგრამებთან შედარების მექანიზმი იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს უცხოეთის წამყვანი უნივერსი-ტეტების (მათ შორის სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგ პროგრამებთან დადარება და მიღებული შედეგების შემდგომი გამოყენება პროგრამის განვითარებისათვის.

მეოთხე საკითი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო 22.06.2021. გადაწყვეტილება №616037
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
8	კვალიფიკაციის დასახელება	პროფესიული უსაფრთხოების მაგისტრი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1022 პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0160, მ. კოსტავას ქ., № 77 სასწავლო კორპუსი № 3

მეხუთე საკითი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო 22.06.2021. გადაწყვეტილება №616038
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
8	კვალიფიკაციის დასახელება	პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1022 პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50 სასწავლო კომპონენტი
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0160, მ. კოსტავას ქ., № 77 სასწავლო კორპუსი № 3

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

ვინაიდან სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობის“ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიში შეისწავლა ერთმა ექსპერტმა, ორივე საკითხის განხილვა მოხდა ერთი შესვენების ფარგლებში.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა („პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობის“ სამაგისტრო).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა
ექსპერტმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ ჯამში გაცემული იყო 19 რეკომენდაცია, საიდანაც დაწესებულებამ სრულად შეასრულა 15, ნაწილობრივ შესრულებულია 1 რეკომენდაცია, ხოლო 3 რეკომენდაციის სრულად შესრულება უკავშირდება დროში განგრძობად საქმიანობას, თუმცა დაწესებულების მიერ ჩატარებული სამუშაოები ადასტურებს მათ მიმართებებს რეკომენდაციების შესრულებულისათვის. ნაწილობრივ შესრულებულია რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა გარკვეულიი სასწავლო კურსების მოდერნიზებას. რეკომენდაცია მოიცავდა 5 სასწავლო კურსის მოდერნიზებას, მისი თქმით, დაწესებულებამ ხუთივე სასწავლო კურსის მოდერნიზება განახორციელა თუმცა დარჩა გარკვეული საკითხები ორ სასწავლო კურსში, რომელსაც ალბათ შემდგომ დაწესებულება პროგრამის გაუმჯობესების ეტაპზე გაითვალისწინებს.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა („პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობის“ სადოქტორო).
ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამას „პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ აკრედიტაცია მიენიჭა 2021 წლის 8 ივნისს და გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვრათ 1-წლიანი ვადა, 2022 წლის 8 ივნისამდე. დაწესებულებამ დადგენილ ვადებში წარმოადგინა შესაბამისი ანგარიში, სადაც ძირითადად აღწერილია 20 რეკომენდაციის საკითხზე გატარებული ღონისძიებები. დაწესებულების მიერ 1-წლიან პერიოდში შესრულებულია მოცულობითი სამუშაოები, გაცემული 20 რეკომენდაციიდან სრულადაა შესრულებული 18 რეკომენდაცია, ხოლო 2 რეკომენდაციის სრულად შესრულება უკავშირდება დროში განგრძობად საქმიანობას, თუმცა დაწესებულების მიერ ჩატარებული სამუშაოები ადასტურებს მათ მიმართებებს რეკომენდაციების შესრულებულისათვის. ერთერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას მოცემულ ეტაპზე რეკომენდაცია შესრულებულია, თუმცა სრულად რეკომენდაციის შესრულება მოითხოვს ხანგრძლივ დროს, რაც უკავშირდება გარკვეული სამუშაოების ციკლურად PDCAციკლით განხორციელებას. რეკომენდაციის შესრულებისათვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების და განვითარების ეტაპები, რომელსაც იყენებს პრაქტიკაში და რომელიც მოიცავს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს. რეკომენდაციის შესრულების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელისა და

განმახორციელებელი გუნდი შეხვდა პარტნიორ ორგანიზაციებსა და დამსაქმებლებს. ამ სამუშაოების შედეგად ნაწილობრივ მოდერნიზებულია პროგრამის სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი.

საბჭოს თავმჯდომარე გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა დაწესებულებას წარმოედგინათ პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს საკმაოდ მოცულობითი საქმიანობის შესრულებისთვის და შრომის ბაზართან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებული რეკომენდაცია დაამატა საბჭომ და ეს ძირითადად განპირობებული იყო იმით რომ არ ჰქონდათ შრომის ბაზრის კვლევისთვის შესაბამისი ფორმა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:10
დასრულების დრო: 19:20

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობის“ სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობის“ სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის გახილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გარემოსდაცვითი ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	22 ივნისი, 2021 წელი №616039
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
8	კვალიფიკაციის დასახელება	გარემოს ინჟინერიის ბაკალავრი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0712 გარემოს დაცვის ტექნოლოგია

10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0171, მ. კოსტავას ქ., N 69 სასწავლო კორპუსი № 2

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

საბჭო გადავიდა მეექვსე საკითხის განხილვაზე

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა დათქმულ ვადაში, 2022 წლის 7 ივნისს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა შესაბამის ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მასლებიდან ჩანს, რომ დაწესებულებას ჩატარებული აქვს ძალიან შრომატევადი სამუშაო. თვითშეფასების ჯგუფს, აკადემიურ პერსონალს, ხარისხის უხრუნველყოფის სამსახურს საკმაოდ დეტალურად აქვს გაანალიზებული აღნიშნული რეკომენდაციები და წარმოდგენილი დოკუნტაციის ანალზიის შედგეად ირკვევა რომ რეკომენდაციები შესრულებულია. მხოლოდ ერთი რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებული, რომელიც ეხებოდა ტერმინოლოგიურ საკითხებს, რომელიც უნდა ისწავლებოდეს როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო საკანონმდებლო სივრცეში დამკვიდრებული ტერმინოლოგიის მიხედვით. მაგალითად, პროგრამის სილაბუსებში გამოყენებული ტერმინი „გაჭუჭყიანება“ უნდა შეცვლილიყო საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არსებული და დამკვიდრებული ტერმინით „დაბინძურება“; სასწავლო კურსის სახელწოდება „გარემოს ობიექტების ეკოლოგიური მონიტორინგი“ უნდა შეცვლილიყო სახელწოდებით ,,გარემოსდაცვითი მონიტორინგი'' . ტერმინი გაჭუჭყიანება შეიცვალა ტერმინით დაბიძურება სილაბუსებში 'საინჟინრო ეკოლოგიის საფუძვლები“, „გარემოს ობიექტების ეკოლოგიური მონიტორინგი“ „ ატმოსფეროსა და ნიადაგის ქიმია“ და სხვა, ხოლო რაც შეეხება „გარემოს ობიექტების ეკოლოგიური მონიტორინგი“ საგნის სახელწოდება იგივე დარჩა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას წარმოედგინათ მათი პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ყველა რეკომენდაცია უკლებლივ შეასრულეს, გარდა იმისა რომ არ შეუცვალეს სახელი სასწავლო კურსს„გარემოს ობიექტების ეკოლოგიური მონიტორინგი“. მისი თქმით შეთავაზებული სახელწოდება არ ასახავს იმ საკითხებს რომელიც სილაბუსში არის წარმოდგენილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:40

დასრულების დრო: 19:50

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკრი უნივერსიტეტის„გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენილი ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.06.2021. გადაწყვეტილება №515010
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
8	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დოქტორი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0711, ქიმიური ინჟინერია და პროცესები
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, მ. კოსტავას ქ., N 77, თბილისი, 0171,

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

საბჭო გადავიდა მეშვიდე საკითხის განხილვაზე
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა
ექსპერტმა აღნიშნა, რომსაქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამას „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია“ აკრედიტაცია მიენიჭა 2021 წლის 2 ივნისს და გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვრათ 1-წლიანი ვადა, 2022 წლის 2 ივნისამდე. დაწესებულებამ დადგენილ ვადებში წარმოადგინა შესაბამისი ანგარიში, სადაც ძირითადად აღწერილია 13 რეკომენდაციის საკითხზე გატარებული ღონისძიებები. დაწესებულების მიერ 1-წლიან პერიოდში შესრულებულია მოცულობითი სამუშაოები, გაცემული 13 რეკომენდაციიდან სრულადაა შესრულებული 7 რეკომენდაცია, ნაწილობრივ შესრულებულია 2 რეკომენდაცია, ხოლო არ არის შესრულებული - 4 რეკომენდაცია. არ არის შესრულებული მე - 5 რეკომენდაცია, მისი თქმით აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციის შინაარსი წარმოდგენილი იყო ექსპერტთა დასკვნაში და იგი ეხებოდა სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის გაუმჯობესებას პროგრამის შინაასრისა და სასწავლო კურსის დასახელების გათვალისწინებით. აღნიშნული კურსი მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომელიც არ მიეკუთვნებოდა სასწავლო კურსის თემატიკას. დასკვნის 2.3 კომპონენტის აღწერაში ნათლადაა აღნიშნული, რომ ასეთი სწავლის შედეგი და საკითხებია გარემოში (წყალსა და ჰაერში) მინარევებისა და დამაბინძურებელი ნივთიერებების გავრცელების მათემატიკური მეთოდებით განსაზღვრა. ამ თემების სანაცვლოდ კურსში უფრო მეტად და უფრო სრულად უნდა იქნას წარმოდგენილი და განხილული გარემოსდაცვითი ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის საკითხები, მათ შორის ქიმიურ და ბიოლოგიურ ინჟინერიაში გამოყენებული საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები (BAT). მოცემული რეკომენდაცია არ არის გათვალისწინებული. კურსში ისევ არის დატოვებული ზემოთ წარმოდგენილი სწავლის შედეგები და შესაბამისი თემები. გადამუშავებულია მხოლოდ კურსის გარკვეული თემები, მთლიანობაში კურსი ნაკლებად პასუხობს მის დასახელებას და შინაარს, ასწავლოს გარემოს დაცვაში გამოყენებული ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიები. ასევე მე - 6 რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა რიგი დისერტაციების თემების დასახელებას, მისი თქმით, ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის დეტალური სფეროა 0711-ქიმიური ინჟინერია და პროცესები, რომელიც სფეროების კლასიფიკატორში განმარტებულია შემდეგნაირად: „შეისწავლის პროდუქტებისა და პროცესების ქიმიურ და ფიზიკურ ცვლილებებთან დაკავშირებულ დაგეგმვას, დაპროექტებასა და განვითარებას. მოიცავს ქიმიური საწარმოების და კონტროლის სისტემის დაგეგმვა/პროექტირებას“. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმის მიხედვით, კვლევითი კომპონენტის შესრულებით დასტურდება პროგრამის ყველა სწავლის შედეგზე გასვლა. მოცემული შემთხვევებისათვის, კვლევითი კომპონენტის შესრულება ვერ დაადასტურებს პროგრამის სწავლის შედეგებზე საბოლოო გასვლას, რომელიც როგორც ავღნიშნეთ, პროგრამის კურიკულუმით შესაბამისობაშია 0711 დეტალურ სფეროსთან. ასევე არ არის შესრულებული მე - 8 რეკომენდაცია, რომელიც ეხება დოქტორანტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას კვლევითი კომპონენტის შესრულების მზაობისათვის. არ შესრულებულა მე - 9 რეკომენდაცია, რომელიც ეხება სადისერტაციო ნაშრომის

ხელმძღვანელის/ების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმების განსაზღვრას. მოცემულ შემთხვევაში დაწესებულება მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია შესრულებულია, რადგან უნივერსიტეტში მოქმედებს დოქტორანტურის დებულება, რომელშიც მე-8 მუხლი აღწერს სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დამტკიცებას. მოცემული დოკუმენტის ეს მუხლი არ განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის/ების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმებს, ანუ არ წარმოადგენს მოთხოვნებს სადისარტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის სამეცნიერო საქმიანობისადმი, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია ხელმძღვანელად შერჩევისას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას წარმოედგინა პოზიცია

დაწესებულების წარომადგენელმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო თემებთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესრულება უბრალოდ დროის ამბავია გამომდინარე იქიდან , რომ კვლევითი კომპონენტის ნაწილი იწყება მეორე სემესტრიდან. მეორე შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის/ების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმები უკვე დაწესებულია საკვლევი თემიდან გამომდინარე, უბრალოდ მაშინ როდესაც ექსპერტი ამოწმებდა პროგრამას იმ პერიოდში ოფიციალურად ეს რეგულაცია არ ჰქონდათ მიღებული. ინდივიდუალურ გეგმასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინდივიდუალური გეგმა დგება დოქტორანტის საჭიროებებიდან გამომდინარე და ამ მონაცემების საფუძველზე ხდება ინდივიდუალურ გეგმაში გაწერა დამატებითი აქტივობების, რომელიც მოემსახურება სწორედ ლაბორატორიული უნარების გაძლიერებას.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი დოქტორანტი ჰყავდა დაწესებულებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ჰყავთ 19 დოქტორანტი

საბჭოს თავმჯდომარე ჩაეკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, 19 სტუდენტიდან რომელიმეს ჰქონდა თუ არა ლაბორატორიული კვლევის საჭიროებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთან მიდის ისეთი დოქტორანტი რომლსაც გავლილი აქვს ქიმის ისეთი პროგრამები რომლებშიც საკმაოდ არის წარმოდგენილი ლაბორატორიული სამუშაოები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს ლაბორატორიულ სამუშაოებს და მხოლოდ სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტით ეს არ დასტურდება იმიტომ , რომ სასწავლო კურსები რომელიც არის მითითებული გადიან ამ სწავლის შედეგებზე. თავისთავად ცხადია, როდესაც საუბარი არის ლაბორატორიაში მუშაობის უნარ ჩვევებზე და მის შესაბამის სწავლის შედეგებზე , რომელიც პროგრამას აქვს, თავისთავად ცხადია, რომ აქ უნდა იყოს გარკვეული მიდგომები რომ სასწავლო კურსებში უნდა იყოს ასახული ესეთი აქტივობები ან როგროც გითხარით ინდივიდუალურ გეგმაში. მისი თქმით, ის რომ საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების საფეხურზე დოქტორანტმა რაღაც ისწავლა არ არის საკმარისი. როცა პროგრამა ამ სწავლის შედეგებს სადოქტორო საფეხურზე განსაზღვრავს, მისი აზრით პროგრამას სჭირდება გარკვეული წინა მოსამზადებელი კურსი ან აქტივობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ინდივიდუალურ გეგმასთან დაკავშირებით დააზუსტა, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ეს არის სპეცილური დანართი დებულებისა , რომელიც იქმნება დოქტორანტის და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეხედულებისამებრ და მათი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამოდინარე.

საბჭოს წევრი ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა, თუ კი პროგრამის სწავლის შედეგებშია ასახული ლაბორატორიული უნარ ჩვევები, ინდივიდუალური გეგმა რამდენად გადაჭრის ამ პრობლემას, სწავლის შედეგების მიღწევადი უნდა იყოს ძირითადი სასწავლო კურსებით.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური დაინტერესდა რამდენჯერ აქვს შესაძლებლობა დოქტორანტს შეცვალოს სადისერტაციო ნაშრომის სათაური და რა პერიოდში ხდება ეს. არის თუ არა ეს საკითხი სადმე დეტალურად გაწერილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რო როგორც მას ახსოვს თემის შეცვლა შესაძლებელია თუ ამის საჭიროება დადგება. ასევე მან საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის შეკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამებში სწავლის შედეგების გასვლაში ყველაზე დიდი როლი აქვს სამეცნიერო კომპონენტს. მათ რომ სასწავლო კომპონენტში გააძლიერონ ლაბორატორიული აქტივობა ეს შეიძლება არ იყოს ოპტიმალური გადაწყვეტილება, მათ მაინც მიაჩნიათ რომ პრობლემას ინდივიდუალური გეგმა გადაჭრის.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური დაინტერესდა როდესაც დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობს ექსპერიმენტული კვლევით ნაწილში მას აუცილებლად დასჭირდება ლაბორატორიული უნარები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში მისი ხელმძღვანელი მას დაეხმარება თუ არა ამ უნარების გამომუშავებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუ კი დოქტორანტს რაიმე სპეციფიური კვლევისთვის დასჭირდა კონკრეტული უნარების ცოდნა მათ შეუძლიათ ამ უნარების გამომუშავება უზრუნველყონ მათი, ან პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:30
დასრულების დრო: 20:40

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მერვე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება №595604
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
8	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის დოქტორი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0732, მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
12	განხორციელების ადგილი	საქართველო 0160 ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 68

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

საბჭო გადავიდა მერვე საკითხის განხილვაზე

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, წარმოედგინა დასკვნა

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ხორციელდება სადოქტორო პროგრამა „მშენებლობა“, რომელიც აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 ივნისის №594800 გადაწყვეტილების შესაბამისად. „მშენებლობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია ერთი წლის თავზე მონიტორინგის პირობით და ანგარიშის წარმოდგენით. რეკომენდაციების შესრულების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა საბჭოს მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებს, დეტალურად განიხილა თითოეული რეკომენდაცია და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა პროგრამასა და სილაბუსში. კრედიტაციის საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 7 რეკომენდაცია, რომელიც სრულად იქნა შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, თუ სურდათ რამის დამატება

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:00
დასრულების დრო: 21:10
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეცხრე საკითხი: შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „გემის მექანიკის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გემის მექანიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება № 0515008, 02/06/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრო საზღვაო ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0716 - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	

		საქართველო, ქ. ბათუმი, 6000, თამარ მეფის გამზირი №38;
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა
ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა შესარულა ყველა რეკომენდაცია. მან აქცენტი გააკეთა მე - 4 რეკომენდაციაზე, მისი თქმით აღნიშნული რეკომენდაცია იყო განმსაზღვრელი მონიტორინგის დაწესების. რეკომედაცია ეხებოდა ძირითადად მატერილაური რესურსების სრულყოფას, საკმაოდ ბევრი ჩამონათვალი არსებობდა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხებოდა უსაფრთხოების ნორმების სრულყოფას. ექსპერტთა ჯგუფმა ყველა რეკომედაცია ადგილზე გადაამოწმა და მიიჩნია რომ ყველაფერი შესრულებულია. აგრეთვე მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ადგილზე ვიზიტის დროს მათ ნახეს უნვერსიტეტის მხრიდან მაშტაბური სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ამ სამუშაოების ფარგლებში რა თქმა უნდა აქტიურად მიმდინარეობს ლაბორატორიების განახლება აღჭურვა და ცხადია ეს იმაზე მეტია, რაც რეკომედნაციებში იყო გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, ჰქონდათ თუ არა რაიმეს დამატების სურვილი

დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ექსპერტს კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:25
დასრულების დრო: 21:35

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „გემის მექანიკის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „გემის მექანიკის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება

მეათე საკითხი: შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის N858757 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხის განხილვა.

ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის საბჭომ მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია, თუმცა გადაწყვეტილების ფორმირების პროცესში, ტექნიკური ხარვეზის გამო, გადაწყვეტილების სათაურში არ მოხდა აღნიშნულის გათვალისწინება. შესაბამისად საბჭოს თანხმობის შემტხვევაში ცენტრი შეასწორებს ტექნიკურ ხარვეზს 2022 წლის 29 ივლისის N858757 გადაწყვეტილებაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:00
დასრულების დრო: 22:05

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის N858757 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება: „შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის №858757 გადაწყვეტილებაში გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ალტერბრიჯის „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ“.

საბჭოს სხდომა დარულდა 22:05 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით